



საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი

ბრძანება

№ მ. 87

03 / 12 / 2015წ.

სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში სერტიფიკატებისათვის
 ნუმერაციის მინიჭებისა და მათი გაცემის წესის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2009 წლის 25 თებერვლის №59 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის „კ“ და „ლ“ პუნქტების, „სპეციალური კონკურსის ჩატარების წესის, სავალდებულო სპეციალური პროფესიული მომზადების (სასწავლო) კურსის სახეებისა და გავლის წესის, აგრეთვე სერტიფიცირებისა და პერიოდული გადამზადების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის №148 ბრძანებით დამტკიცებული წესის 28-ე მუხლის მე-6 პუნქტისა (დანართი №3) და 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის (დანართი №4) საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში მომზადების, გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელ დოკუმენტად განისაზღვროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორის მიერ გაცემული სერტიფიკატი.
2. განისაზღვროს სერტიფიკატის სამი დონე, მსმენელის მოსწრების შესაბამისად:
 - ა) „I დონის სერტიფიკატი“ - რაც გულისხმობს საბოლოო გამოცდის წარმატებით ჩაბარებას;
 - ბ) „II დონის სერტიფიკატი“ - რაც გულისხმობს საბოლოო გამოცდის კარგად ჩაბარებას;
 - გ) „III დონის სერტიფიკატი“ - რაც გულისხმობს საბოლოო გამოცდის დამაკმაყოფილებლად ჩაბარებას;
3. მინიმალური გადასალაზი პროცენტული ბარიერი და სერტიფიკატის დონეების შესაბამისი პროცენტული ზღვარი, ყოველი კონკრეტული ტრენინგისთვის განისაზღვროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორის ბრძანებით;
4. იმ ტრენინგებში, სემინარებში, კონფერენციებში და მრგვალ მაგიდეებში, რომელიც არ ითვალისწინებს საბოლოო გამოცდას, მონაწილე მსმენელებს გადაეცემათ დონისბიჯებაში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი.


 [Signature]

5. სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მიერ გაცემული სერთიფიკატს უნდა მიენიჭოს ნომერი, რომელიც შედგება შემდეგი რეკვიზიტებისგან:

- ა) პენიტენციური დეპარტამენტის და პენიტენციური დაწესებულებების წარმომადგენლებისათვის გასაცემი სერთიფიკატების შემთხვევაში: აბრევიატურა „პდ“, სერთიფიკატის გაცემის წელი და წლის განმავლობაში უწყვეტი რიგითობის ნომერი შემდგარი 4 ციფრისგან (მაგ.: № პდ/2016/0001);
- ბ) სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელთათვის გასაცემი სერთიფიკატების შემთხვევაში: სიმბოლო „პ“, სერთიფიკატის გაცემის წელი და წლის განმავლობაში უწყვეტი რიგითობის ნომერი შემდგარი 4 ციფრისგან (მაგ.: № პ/2016/0001);
- გ) საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, სსიპ - სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის და სხვა უწყებების/ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის გასაცემი სერთიფიკატებისთვის: სერთიფიკატის გაცემის წელი და წლის განმავლობაში უწყვეტი რიგითობის ნომერი შემდგარი 4 ციფრისგან (მაგ.: № 2016/0001);
- დ) „დონორის მიერ დაბეჭდილი სერთიფიკატების შემთხვევაში: სიმბოლო „დ“ , სერთიფიკატის გაცემის წელი და წლის განმავლობაში უწყვეტი რიგითობის ნომერი შემდგარი 4 ციფრისგან (მაგ.: № დ/2016/0001)“.

- 6. სასწავლო ცენტრის ტრენერებზე, მათი მოთხოვნის შესაბამისად, საბიუჯეტო წლის ბოლოს გაიცეს ტრენერად მონაწილეობის დამადასტურებელი სერთიფიკატი, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს: სიმბოლო „ტ“, სერთიფიკატის გაცემის წელი და წლის განმავლობაში უწყვეტი რიგითობის ნომერი, შემდგარი 3 ციფრისგან (მაგ.: № ტ/2016/001).
- 7. სპეციალური პენიტენციური სამსახურში მისაღებ კანდიდატთა მიერ სავალდებულო სპეციალური პროფესიული მომზადების (სასწავლო) პროგრამის (სერტიფიცირების) და სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოქმედ თანამშრომელთა სერტიფიცირებისა და პერიოდული გადამზადების (კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული გადამზადების კურსის) ფარგლებში გასაცემი სერთიფიკატებისთვის დონის განსაზღვრა მოხდეს მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად და სერტიფიკატისთვის განისაზღვროს შემდეგი რეკვიზიტები: სიმბოლო „ს“, სერთიფიკატის გაცემის წელი და წლის განმავლობაში უწყვეტი რიგითობის ნომერი შემდგარი 4 ციფრისგან (მაგ.: № ს/2015/0001);
- 8. განსაკუთრებულ შემთხვევებში, სერთიფიკატის მიმღების წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი გასცემს მის მიერ მანამდე გაცემული სერთიფიკატის დუბლიკატს ან სერთიფიკატის გაცემის დამადასტურებელ ცნობას.
- 9. წინამდებარე ბრძანება ძალაშია 2016 წლის 4 იანვრიდან, გარდა ამ ბრძანების ძე-7 პუნქტისა, რომელიც ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
- 10. 2016 წლის 4 იანვრიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორის 2014 წლის 20 იანვრის N12 ბრძანება „სსიპ - სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში სერთიფიკატებისათვის ნომერაციის მინიჭებისა და გაცემის წესის განსაზღვრის თაობაზე“.
- 11. დაველოს საქმისწარმოების სპეციალისტს - მაია ჯანგირაშვილს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა;
- 12. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

წინამდებარე ბრძანების
განმარტველი
სსიპ-სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის
დირექტორი
[Handwritten Signature]

13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქ. №3) ან/და გარდაბნის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გარდაბანი, დავით აღმაშენებლის ქ. №14).

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ავთანდილ მიქანაძე

